პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგზოეგის ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 232 (12440) | სამშაბათი, 2 ოქტომბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ბეჭდვითი სიტყვის ძალა

სიტყვაც საქმეა, ამბობდა ვ. ი. ლენინი, მხედველობაში ჰქონდა რა მებრძოლი პუბლიცისტური სიტყვა. სიტყვისა და საქმის, თეორიისა და პრაქტიკის ერთობა მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა. ვლადიმერ ილიას ძე ყოველთვის აკეთებდა იმას, რასაც ამბობდა, და ყოველთვის ეუბნებოდა ხალხს იმას, რასაც აკეთებდა. იგი მუდამ აყენებდა მუშათა კლასის წინაშე, ყველა მშრომელის წინაშე რევოლუციური ბრძოლის საარსებო საკითხებს და იძლეოდა ნათელ, ამომწურავ პასუხს, პოლიტიკურად აქტიურებდა მკითხველს.

ნაყოფიერად ავითარებს რა ლენინურ ტრადიციებს, საბჭოთა პრესა ეერდნობა მილიონობით მკითხველის მხარდაჭერას, მათ აქტიურ თანამშრომლობას. ამის მოწმებთან საბჭოთა პრესა, ადამიანთა გონებასა და გულზე ზემოქმედების უზარმაზარ ძალას იძენს. მაგალითად, შეგვიძლია დავიმოწმოთ ეიტომირის ოლქის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ მერგოლურის ნადეედ გრიგოლის ასულ ზაგლადას ამასწინდელი გამოსვლა პრესაში, და ის ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო გამოხმაურება, რომლითაც შეხვდა მკითხველი მის სტატიას „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელის ღირსებას!“.

ოქროსფერი შემოდგომის ამ დღეებში გაზეთების ფურცლებზე, რადიოთი და ტელევიზიით გაისმის კომუნიზმის მშენებელთა ხმა, ერთმანეთს ეხმაურებიან დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენი.

კომუნისტური პარტია ლენინურად უკავშირებს ერთმანეთს ფედოოგიურ და ორგანიზატორულ მუშაობას. იგი დიდად აფასებს ბეჭდვითი სიტყვის ძალას და თავის კადრებს, მთელ ხალხს ზრდის ისეთი სულისკვეთებით, რომ პატივისცემით მოეკიდონ პრესას, როგორც ყველაზე მძლავრ და შორსმსროლ იდეურ იარაღს, ზრუნავს პრესის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის. ეს მკაფიო გამოხატულებას პოულობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ მიღებულ დადგენილებაში „საბჭოთა პრესის გამოსვლების ქმედითობის გადიდების შესახებ“.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სკკპ XXII ყრილობის შემდეგ განვლილ დროში რამდენადმე ამაღლდა ჩვენი პრესის საერთო დონე, გაიზარდა მისი ორგანიზატორული როლი. მეტი წილი პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სახელმწიფო კომიტეტები, სამინისტროები, უწყებები, საწარმოთა ხელმძღვანელები ყურადღებით ეკიდებიან გაზეთებისა და ყურნალების გამოსვლას, თავის დროზე ატყობინებენ საზოგადოებრიობას მიღებულ ღონისძიებებს, იყენებენ პრესის დახმარებას სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

მაგრამ პრაქტიკაში ჯერ კიდევ ვხვდებით ფაქტებს, როცა გაზეთებისა და ყურნალების გამოსვლებს მხარს არ უჭერს ზოგიერთი პარტიული ორგანო, საძინისტრო, უწყება და დაწესებულება. ხშირია შემთხვევები, როცა ორგანიზაციები, უწყებები და დაწესებულებები უპასუხოდ ტოვებენ მშრომელთა წერილებსა და სიგნალებს, რომლებიც გამოქვეყნდა პრესაში ან გაეგზავნათ გაზეთებისა და ყურნალების რედაქციებს ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

გაზეთი „სოვეტსკაია სიბირი“ იძულებული იყო მიემართა საზოგადოებრიობისათვის, რადგან ნოვოსიბირსკის ოლქის ზოგიერთ საწარმოს, პარტიული და საბჭოთა ორგანოს ხელმძღვანელები არ ეხმაურებიან გაზეთების გამოსვლებს და რედაქციების უშუალო მიმართვებს მათდამი.

ზოგიერთი ორგანიზაციისა და დაწესებულების ხელმძღვანელები ყოველი საშუალებით ცდილობენ უარყონ პრესის სამართლიანი კრიტიკული გამოსვლები, ეძებენ ყოველგვარ „გასამართლებელ არგუმენტს“ ან სიტყვით აღიარებენ კრიტიკას, პრაქტიკულად კი არაფერს აკეთებენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ასეთ მუშაკებს ავიწყდებათ, რომ ბატონკაცური აგდებული დამოკიდებულება პრესის სიგნალებისადმი, მისწრაფება პრესტიჟისა და წყენის მოსაზრებანი დააყენონ პარტიულ და სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა ზიანს აყენებს კადრების აღზრდის საქმეს, შეუთავსებელია სკკპ წევრის მაღალ წოდებასთან.

„საჭიროა ულმობლად გავაკრიტიკოთ ისინი, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე, — ვინც უმსგავსოდ ეკიდება მეურნეობის გაძღოლას, და ისინი, ვინც მუნდირის ღირსების დაცვის სახით, არსებითად ხელს აფარებენ ისეთ ადამიანებს რომლებიც ზიანს აყენებენ სახელმწიფოს, ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს. საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა გამოვუცხადოთ კრიტიკის ჩამშობებს“.

ბეჭდვითი სიტყვის გავლენა მარტოოდენ კრიტიკით როდი იფარგლება. პრინციპული კრიტიკის განვითარებასთან ერთად ჩვენი პრესის ძლიერი მხარეა ყოველივე ახლის, მოწინავის პროპაგანდა. მიუხედავად ამისა, როგორც ეს აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, პარტიული კომიტეტები, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოები ხშირად დროზე და საქმიანად არ ეხმაურებიან პრესის გამოსვლებს, რომლებშიც პროპაგანდა ეწევა მოწინავე გამოცდილებას, გაშუქებულია მშრომელთა პატრიოტული ინიციატივა, რომლის მიზანია ტექნიკური პროგრესის

ПРАВДА

30 სექტემბრის მოწინავე

დაჩქარება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, რეზერვების უკეთ გამოყენება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულება.

იმ გამოქვეყნებული მასალებისა და წერილების ქმედითობისათვის, რომელთა მიზანია ღონისძიებების განხორციელება, უნდა იბრძოლნენ თვით გაზეთების, ყურნალების რედაქციები. საჭიროა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ პრესის კრიტიკული გამოსვლების, მშრომელთა წერილების გამო დაუყოვნებლივ, დაუბრკოლებლად მიიღონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რომ ფართო საზოგადოებრიობა დროზე იგებდეს ასეთ ღონისძიებებს. სამწუხაროდ, ზოგიერთი გაზეთისა და ყურნალის რედაქციები ნაკლებად ზრუნავენ ამისათვის.

„პრიორიტეტშკაია პრავდის“ რედაქციამ (სევერიანინი) შარშან გამოსარკვევად გაგზავნა 800 წერილი, პასუხი კი მიიღო მხოლოდ 20 წერილზე. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ახასიათებს თვით რედაქციის დამოკიდებულებას წერილებზე მუშაობისადმი. გაზეთი „ვოლგა“ (სტარახანი) არ იშურებს ფურცლებს სხვადასხვა უწესოების აღწერისათვის, მაგრამ დამნაშავენი ხშირად დაუსჯელი რჩებიან, იტყობინება მკითხველი ა. ილინი.

საბჭოთა პრესის უმნიშვნელოვანესი პრინციპია სიმართლე. საბჭოთა პრესის მუშაკები მუდამ სწავლობენ პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისაგან უნარს, რომ ღრმად და გაბედულად მიუდგნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მომწიფებული საკითხების დადგმას, ლენინურად დაუჭირონ მხარი კომუნიზმის ყლორტებს, პრინციპულად და მწვავედ გააკრიტიკონ ნაკლოვანებანი.

მაგრამ ყველა რედაქციამ როდი აღმოფხვრა ჩვეხი პარტიული ყურნალისტიკისათვის უცხო ისეთი გადმონაშთი, როგორიც არის გამოქვეყნებული მასალების სიყალბე. ზოგიერთმა ყურნალისტმა ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი იმ მცდარ თვალსაზრისს, რომ კრიტიკისათვის საკმარისია „ხუთი პროცენტი სიმართლე“. ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება ჩვენი პრესის ლენინურ ტრადიციებს, მხოლოდ ზიანი შეუძლია მიაყენოს მის პრესტიჟს.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ჩვენ გვესაჭიროება გაბედული და მომთხოვნი კრიტიკა, განურჩევლად პიროვნებისა, და არა ვისმესთვის „შარის მოდება“, განქიქება და ინტელიგენტური გესლიანობა“. როცა მწვავედ ვაკრიტიკებთ მუშაობის შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, არ შეიძლება დავუშვათ მათი გაზვიადება, სენსაციისათვის ნავარაუდევი ობივატელური ოხუნჯობა.

პარტიული ორგანოები მოწოდებული არიან მიიღონ ღონისძიებანი პრესაში გამოქვეყნებული მასალების ქმედითობის გაძლიერებისათვის, კიდევ უფრო აქტიურად გამოიყენონ გაზეთები და ყურნალები სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაუჭობესების, პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიზნით. პრესის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პრინციპული გამოსვლები უნდა განვიხილოთ პარტიულ კრებებზე, საწარმოო თათბირებზე, მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის კრებებზე.

პარტიული კომიტეტები, უწყებათა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ყურადღებით უნდა მოეკიდონ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ისეთ გამოსვლებსაც, რომლებშიაც გამოვლენებულია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამატებითი რეზერვები, პოპულარიზებულია შრომის ორგანიზაციის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და რაციონალური გამოყენების. მოწინავე ხერხები და მეთოდები, შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების გზები.

პრესის ყველა ორგანოს ღირსების საქმეა სისტემატურად და მიზანსწრაფულად იბრძოლონ კომუნისტური წყობილებისათვის უცხო ისეთი მოვლენების წინააღმდეგ, როგორიც არის მუქთახორობა, ბიუროკრატიზმი, ჩამორჩენლობა, მექრთამეობა, სახალხო საკუთრების დატაცება, გზა გაუკაფონ ახალს, პროგრესულს, მხურვალედ დაუჭირონ მხარი კომუნიზმის ყლორტებს წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დაამკვიდრონ კომუნისტური მორალის პრინციპები.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა დროზე განიხილონ პრესის გამოსვლების უგულებელყოფის, კრიტიკისათვის პიროვნებათა დევნის ფაქტები, როგორც პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დარღვევა, როგორც ახლისადმი, პროგრესულისადმი წინააღმდეგობა და მისწრაფება შეაფერხონ მასების ინიციატივა და შემოქმედებითი აქტივობა.

პრესის გამოსვლების ქმედითობის გადიდების უაღრესად ეფექტიანი ფორმაა საზოგადოებრივი კონტროლი. გაზეთებისა და ყურნალების რედაქციებმა უფრო ფართოდ უნდა ჩაებან პრესის გამოსვლების ქმედითობისათვის ბრძოლაში ავტორთა აქტივი, მუშა და სოფლის კორესპონდენტები, გამოიყენონ ამ მიზნით მუშა და სოფლის კორესპონდენტთა პოსტები, მასობრივი რეიდები, საზოგადოებრივი მისაღები ოთახები, შემოწმების უშტატო ბიუროები და მუშაობის სხვა ფორმები, რომლებიც გამართლებულია პრაქტიკულად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საბჭოთა პრესის გამოსვლების ქმედითობის გადიდების შესახებ“ ნაკარნახევია ჩვენი პარტიის ლენინური ზრუნვით პრესის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის, იმისათვის, რომ გაძლიერდეს მისი როლი სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ნ. ს. ხრუშჩოვი თურქმენეთში

გულითადი შეხვედრები ამხანაგებში

ა შ ხ ა ბ ა დ ი, 30 სექტემბერი. (საკუთარი). დღეს ხალიჩეის ფაბრიკას ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. მას ახლავენ თურქმენეთის კოდპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ოვეზოვი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი მ. ა. პიმენოვი, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ბაირამოვი, თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ანალიევი.

ძვირფას სტუმარს გულთბილად მიეგებნენ ფაბრიკის დირექტორი გ. ბეკდურდიევა და საწარმოს მუშები — ქალები. ხიკიტა სერგის-ძემ დაათვალიერა ფაბრიკის საამქროები, გაეცხო ხალიჩის ქსოვის პროცესს.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი იყო აგრეთვე ფაბრიკასთან არსებულ ხალიჩების ბუდმივ გამოფენაზე. მან თურქმენ ოსტატებს ახალი დიდი წარმატებანი უსურვა შრომაში. ნ. ს. ხრუშჩოვმა სურათი გადაიღო მუშებთან ერთად.

შემდეგ საბჭოთა თავრობის მეთაური ეწვია თურქმენეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიას.

აკადემიის პრეზიდენტმა შ. ბატიროვმა, ინსტიტუტების დირექტორებმა, მეცნიერმა თანამშრომლებმა ნ. ს. ხრუშჩოვს გააცნეს მეცნიერთა ნაშრომები.

გამოეთხოვა რა მეცნიერებს, ხიკიტა სერგის-ძემ უსურვა მათ ნაყოფიერი შრომა მეცნიერების განვითარებაში.

პარტიისა და ხალხის ერთობა

აშხაბადის მშრომელთა მიტინგი

აშხაბადი 30 სექტემბერი. (საკუთარი). მზით გაბრწყინებულია აშხაბადი. ჯერ კიდევ მწვანე სამხრეთულ ხეებს მორის მოჩანს ალისფერი ალმები, წითელი ქსოვილები.

ზეიმობს თურქმენეთის დედაქალაქი. რამდენიმე დღეა, რაც თურქმენეთში, იმყოფება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. იგი იყო აშხაბადის, კაახკის, მეოღობის, ბაირამ-ალის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ყარაყუმის არხზე, ნებიტ-დღისა და კოტურ-ტეპეს მენავთობეებთან, შეხვდა აშხაბადის მუშებს, თურქმენ მეცნიერებს.

საზეიმოდ მორთულია სტადიონი. აქ შეკრებილა მრავალი ათასი ადამიანი. მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ისინი თურქმენი ხალხის ძვირფასი სტუმრის — საბჭოთა თავრობის მეთაურის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის გამოჩენას ტრიბუნაზე.

მიტინგი მოკლე სიტყვით გახსნა თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ოვეზოვმა.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი პირველად არის ჩვენს რესპუბლიკაში, ამბობს ამხ. ოვეზოვი. მისი აქ ჩამოსვლა ცხადყოფს, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა თავრობა ზრუნავენ იმისათვის, რომ კვლავაც ვითარდებოდეს თურქმენეთის ეკონომიკა და კულტურა, განუხრელად უმჯობესდებოდეს ხალხის კეთილდღეობა.

ამხ. ოვეზოვმა თურქმენეთის ყველა მშრომელის სახელით უღრმესი და გულითადი მადლობა უძღვნა სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს თურქმენეთის აყვავებაზე მუდმივი ზრუნვისა და უურადღებისათვის.

აღნიშნა რა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევები ამხ. ოვეზოვმა პირობა მისცა ნ. ს. ხრუშჩოვსა და მისი სახით სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ რესპუბლიკის მშრომელნი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

სიტყვა ეძლევა აშხაბადის ძერჟინსკის სახელობის სართავ-საქსოფი ფაბრიკის მქსოველს ენა ოვეზოვას.

— ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ! — ამბობს იგი. — უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ მე, უბრალო თურქმენ მშრომელ ქალს, დამდეს დიდი პატივი: მოგესალმოთ თქვენ, ჩვენს ძვირფას სტუმარს.

ამხ. ე. ოვეზოვა აცხადებს, რომ აშხაბადელი ფიეტრები წარმატებით ასრულებენ შვიდწლედის მეოთხე წლის დავალებებს. ცხრა თვის გეგმა ვადამდე, 27 სექტემბერს შესრულდა. გეგმის გადამეტებით გამომუშავებულია 52 ათასი მეტრი ქსოვილი და 46 ტონა ნართი.

ტრიბუნაზეა მარის რაიონის კოლმეურნეობა „მოსკოვის“ თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ჯუმადურდი ატაჯანოვი.

თურქმენეთის ასოცდახუთი ათასი კომკავშირელისა და მთელი ახალგაზრდობის სახელით სიტყვას ამბობს თურქმენეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სტუდენტი ჯემალ საფაროვა.

თურქმენეთის კომკავშირის ისტორიაში, — აღნიშნა მან, — ერთ-ერთი ყველაზე გმირული ფურცელი გახდა კოტურ-ტეპეს ნავთობის საბადოს ათვისება. დღეს კომკავშირულ-ახალგაზრდული სარეწი, რომელიც ამაყად ატარებს დიდი ლენინის სახელს, იძლევა იმ ნავთობის თითქმის ნახევარს, რომელსაც რესპუბლიკაში იღებენ.

სიტყვა ეძლევა თურქმენეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ი. კ. მაქსიმენკოს.

ჩვენ ვამაყობთ, ამბობს მეცნიერი, რომ ვეკუთვნით მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერების სახელოვან არმიას.

ჩვენი მეცნიერები პრაქტიკოსებთან თანამშრომლობით წყვეტენ ბამბის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების ამოცანებს.

მკაფიო სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც გულმხურვალედ შეხვდნენ მიტინგის დამსწრენი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ოვეზოვ!
ძვირფასო ამხანაგო ანალიევ!
ძვირფასო ამხანაგო ბაირამოვ!
ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა თავრობის სახელით მოგესალმოთ თქვენ, აშხაბადელებო, თურქმენებო, ყველა სხვა ეროვნების მშრომელებო, რომლებიც ერთსულოვნად აშენებთ კომუნიზმს თურქმენეთის მიწაზე. **(მჭუხარე ტაში).**

სკკპ ისტორიულმა XXII ყრილობამ მიიღო კომუნისტური პარტიის მესამე პროგრამა — კომუნისტური მშენებლობის პროგრამა. ჩვენ კომუნიზმის მშენებლობის განსაკუთრებით პასუხსაგებ პერიოდში შევედით.

კომუნიზმი უკეთესი ცხოვრებაა. უკეთესი ცხოვრება არის მეტი დოვლათი ადამიანისათვის, ეს არის უკეთესი კვება, საცხოვრებელი სახლები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი; ეს არის ახალი სკოლები, მეცნიერებისა და კულტურის დაწესებულებები, საავადმყოფოები. ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ქმნის საზოგადოების, კულტურული ადამიანის ცხოვრებას. ძთელი ეს მატერიალური საშუალებანი იქმნება შრომით და მხოლოდ შრომით. ამიტომ კულტურულად და შეძლებულად რომ ვიცხოვროთ, კომუნისტურად რომ ვიცხოვროთ კარგად უნდა ვიშრომოთ. რაც უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება, რაც უფრო კარგად ვიყენებთ მანქანებს, მით უფრო მეტია დაგროვება, მით უფრო მეტია კარგი ცხოვრების შესაძლებლობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ, ლენინელმა კომუნისტებმა, საბჭოთა ადამიანებმა, კარგად ვიცით, რომ მუქთად არაფერი არ მოდის, ყველაფერს ადამიანის შრომა ქმნის. შრომა აძლევს ადამიანებს შესაძლებლობას დაეუფლონ ახალ ცოდნას, განავითაროონ მეცნიერება, აღმოაჩინონ და საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოიყენონ სულ ახალი და ახალი სიმდიდრენი. **(მჭუხარე ტაში).**

ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, რომ თურქმენეთში ჩამოვედი, გავიცანი მისი ხალხის ცხოვრება. როცა ხედავ, თუ როგორ ცხოვრობენ და მუშაობენ თქვენი რესპუბლიკის მშრომელები, დიდ სიხარულსა და სიამაყეს განიცდი. შენს წინაშე თითქოს გადაშლილია ცოცხალი ფურცელი წიგნისა, რომელიც ლენინმა დაწერა სოციალისტურ რევოლუციაზე, ხალხთა მეგობრობაზე, მათს ინტერნაციონალურ კავშირსა და გრძნობებზე. აი აქ თურქმენეთში, ისევე როგორც ტაჯიკეთში, უზბეკეთში, სხვა რესპუბლიკებში, ხედავ როგორ ხორციელდება სინამდვილეში ლენინიზმის იდეები, ინტერნაციონალიზმის იდეები **(მჭუხარე ტაში).**

ბურჟუაზიული პრესა საბჭოთა ადამიანებს ხშირად უწოდებს კომუნიზმის მონებს. ასეთი სულელური მტკიცების საპასუხოდ მე ჩვეულებრივ ვამბობ: მომბრძანდით ჩვენთან, ნახეთ კომუნიზმის ეს მონები — ბევრ თქვენგანს მოუნდება ჩავარდეს ასეთ მონობაში, იცხოვროს ისე, როგორც საბჭოთა ადამიანები ცხოვრობენ. **(მხიარული გამოცოცხლება, ტაში).**

მე ვხვდები და ვესაუბრები ხოლმე საზღვარგარეთელ მუსლიმანთა წარმომადგენლებს. ისინი ამბობენ, ცხოვრება, რომელსაც თქვენს რესპუბლიკებში ვხედავთ, ჩვენი ქვეყნების ხალხებისათვის ოცნება

ვ. ი. ლენინის ახალი დოკუმენტი

„საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“

(სტატიის თავდაპირველი ვარიანტის თავები)

ქვემოთ პირველად ქვეყნდება სტატიის „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ თავდაპირველი ვარიანტის მთელი რიგი თავები (IV, V, VI, VII, VIII, IX თავების ნაწილი და X თავის დასაწყისი). ვ. ი. ლენინის თხზულებათა წინა გამოცემებში იბეჭდებოდა ამ ვარიანტის მხოლოდ დასკვნითი თავები — X (ბოლო), XI, XII, XIII თავები (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 27, გვ. 232-253).

ორიგინალი თავებისა, რომლებიც ქვეყნდება, წარმოადგენს ლენინის მიერ 1918 წლის 23 და 28 მარტს შუა სტენოგრაფისათვის ნაკარნახევი სტენოგრამის გაშიფვრას. სტატიის ამ ნაწილის წაკითხვა მოხერხდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის 36-ე ტომის მომზადების დროს, რომელშიც იგი დაიბეჭდება წინათ ცნობილ თავებთან ერთად.

ვ. ი. ლენინმა სტატიაზე „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ მუშაობა დაიწყო გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და რატიფიკაციის შემდეგ. ომიდან გამოსვლამ, ამ დროისათვის საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ მთელ ჩვენს ქვეყანაში, სახალხო მეურნეობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში მბრძანებელი მწვერვალების გადასვლამ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს განკარგულებაში — ყოველივე ამან განსაზღვრა ახალი ხანა სოციალისტური რევოლუციის განვითარებისა რუსეთში. საბჭოთა სახელმწიფომ პირველად მიიღო შესაძლებლობა ძირითადი ძალებისათვის თავი მოეყარა მშვიდობიან სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაზე, მთავარი ყურადღება მიექცია ახალი, სოციალისტური საზოგადოების შექმნის უდიდესი ამოცანების გადაწყვეტისათვის.

ამ პერიოდში ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა სოციალისტური მშენებლობის გეგმა, რომელიც ჩამოყალიბებულია სტატიაში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 27, გვ. 275-329).

თავებში, რომლებიც ქვემოთ ქვეყნდება, მოცემულია ოქტომბრის რევოლუციის განვითარების ღრმა თეორიული ანალიზი, ცხადყოფილია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში სამეურნეო მშენებლობის მნიშვნელობა, ხაზგასმულია სოციალისტურ მშენებლობაში ხალხის მასების როლი. ამ თავებში ლენინი სახავს საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო პოლიტიკის გადაუდებელ ამოცანებს, განმარტავს ისეთ ღონისძიებათა განხორციელების საჭიროებას, როგორიც არის მქონებელი კლასებისათვის შრომის ბეგრის შემოღება, მშრომელთა შორის შრომის დისციპლინისა და თვითდისციპლინის განმტკიცება, ფულის რეფორმის გატარება, ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოყენება და სხვ.

თავდაპირველი ვარიანტის თავები, რომლებიც პირველად ქვეყნდება, არა მარტო ასახავენ სტატიაზე „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ ვ. ი. ლენინის მუშაობის პროცესს, არამედ შესაძლებლობას გვაძლევენ უფრო ღრმად გავიგოთ ლენინის ამ შესანიშნავი შრომის შინაარსი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი

★ ★ ★

...*

ახლა ეს ამოცანა, — რომელიც, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის დამთავრებული და არასოდეს არ შეიძლება ბოლომდე იყოს ამოწურული, — აღარა დგას პირველ ადგილზე საბჭოთა ხელისუფლების ამოცანებს შორის. საბჭოების უკანასკნელმა ყრილობებმა, და განსაკუთრებით სრულიად რუსეთის მოსკოვის ყრილობამ[1], ცხადყო, რომ მშრომელი კლასების უდიდესი უმრავლესობა შეგნებულად და მტკიცედ გადავიდა საერთოდ საბჭოთა ხელისუფლებისა და კერძოდ ბოლშევიკების პარტიის მხარეზე. თავისთავად იგულისხმება, რომ რამდენადმე დემოკრატიული მთავრობისათვის არასოდეს არ შეიძლება საკმაოდ გადაიდოს ხალხის მასების დარწმუნების ამოცანა, — პირიქით, იგი ყოველთვის იდგება მართვის დიდმნიშვნელოვან ამოცანათა შორის. მაგრამ ასეთი ამოცანა პირველ ადგილზე დგება მხოლოდ ოპოზიციის პარტიებისათვის ან იმ პარტიებისათვის, რომლებიც მომავლის იდეალების განხორციელებისათვის იბრძვიან. მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა ერთი მხრივ ჯერ კიდევ ცარიზმის დროს და მეორე მხრივ კერენსკის მთავრობის დროს შეძლეს თავიანთ მხარეზე მიეზიდნათ მშრომელი მასების აქტიური და შეგნებული ელემენტების უმრავლესობა, ჩვენი პარტიის წინაშე დაისახა ძალაუფლების მოპოვებისა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის ჩახშობის ამოცანა. ნაცვლად იმისა, რომ გარწმუნებდეთ, პირველ ადგილზე დადგა რუსეთის ბრძოლით მოპოვების ამოცანა. 1917 წლის ოქტომბრის დამლევიდან და დაახლოებით 1918 წლის თებერვლამდე ეს საბრძოლო თუ სამხედრო ამოცანა იდგა პირველ პლანზე, როგორც ბუნებრივად უნდა დამდგარიყო ასეთი ამოცანა პირველ პლანზე ყოველი პოლიტიკური პარტიისათვის, რომელიც ბატონობას აღწევს მწვავე და უალრესად მძაფრი ბრძოლის ვითარებაში. თავისთავად გასაგებია, რომ პროლეტარიატის პარტიისათვის ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის ჩახშობის ამოცანა დგება განსაკუთრებით მწვავედ. იმიტომ რომ მშრომელი მასების წინააღმდეგ, რომლებიც პროლეტარიატის მხარეზე დგებიან, აქ გამოდიან ურთიერთ შორის გაერთიანებული წარმომადგენლები მქონებელი კლასებისა, რომლებიც შეიარაღებული არიან კაპიტალის ძალითაც, ცოდნის ძალითაც, მართვის მრავალწლიანი, რომ არა ვთქვათ საუკუნეობრივი, ჩვეულებით და ჩვევითაც. განსაკუთრებული პირობების მეოხებით, რომლებიც რუსეთში ისტორიულად შეიქმნა 1905 წლის რევოლუციის ჯერ კიდევ არდავიწყებული გაკვეთილების გავლენით და ახლანდელი ომის გაცილებით უფრო მძიმე და მწვავე გაკვეთილების გავლენით, — ამ პირობების მეოხებით ბოლშევიკებმა შეძლეს შედარებით უაღრესად ადვილად გადაეწყვიტათ ამოცანა ძალაუფლების მოპოვებისა რუსეთის როგორც დედაქალაქში, ისე მთავარ სამრეწველო ცენტრებში. მაგრამ პროვინციაში, ცენტრს დაშორებულ ადგილებში, და რუსეთის განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც თავმოყრილი იყო ყველაზე მეტი ცნობილი რაოდენობა მოსახლეობისა, რომელიც შედარებით ჩამორჩენილია და ყველაზე მაგრად ებღაუჭება მონარქიისა და შუასაუკუნეობრიობის ტრადიციებს, — მაგალითად, კაზაკთა ოლქებში, — საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდა გაეძლო წინააღმდეგობისათვის, რომელიც ომის ფორმებს იღებდა, და მხოლოდ ახლა, ოქტომბრის რევოლუციის დროიდან ოთხ თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, სრულ დაბოლოებამდე მიდის. ამჟამად ამოცანა ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დაძლევისა და ჩახშობისა რუსეთში ძირითადად დამთავრებულია. რუსეთი ბრძოლით მოიპოვეს ბოლშევიკებმა, უმთავრესად იმიტომ, — როგორც ეს ამას წინათ აღიარა დონის კონტრრევოლუციური კაზაკობის უაღრესად თვალსაჩინო მოღვაწემ ბოგაევსკიმაც[2], — რომ ხალხის უდიდესი უმრავლესობა კაზაკობაშიც კი შეგნებულად, მტკიცედ და გადაჭრით გადმოვიდა ბოლშევიკების მხარეზე. მაგრამ განსაკუთრებული პირობები, რომლებშიც ჩაყენებული არიან მქონებელი კლასები თავიანთი ეკონომიური მდგომარეობით, ბუნებრივ შესაძლებლობას აძლევენ მათ მოაწყონ არა მარტო პასიური წინააღმდეგობა (საბოტაჟი), არამედ კიდევაც გაიმეორონ საბჭოთა ხელისუფლებისათვის სამხედრო წინააღმდეგობის გაწევის ცდა. ამიტომ ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის ჩახშობის ამოცანაც არ შეიძლება ბოლომდე დამთავრებულად ჩაითვალოს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი ახლა აშკარად უკვე გადაჭრილია ძირითადად და მეორე პლანზე გადადის. საბჭოთა ხელისუფლება ერთი წუთითაც არ მისცემს თავს ნებას დაივიწყოს ეს ამოცანა და მას ვერანაირად ვერ ააღებინებენ ხელს მის შესრულებაზე რომელიც უნდა იყოს პოლიტიკური თუ ვითომდა სოციალისტური სახელწოდებებითა და დეკლამაციით. საჭირო ხდება აღვნიშნოთ ეს, იმიტომ რომ მენშევიკებიც და მემარჯვენე ესერებიც ჩვენში იქცევიან როგორც კონტრრევოლუციის ყველაზე მოძრავი, ზოგჯერ კი როგორც ყველაზე თავხედი მოღვაწენი, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ეწევიან ბრძოლას გაცილებით უფრო მკვეთრად, ვიდრე ისინი თავს ნებას აძლევდნენ ეწარმოებინათ ეს ბრძოლა რეაქციული და მემამულური მთავრობების წინააღმდეგ და იმედს იმაზე ამყარებენ, რომ მათ დაიცავს მათი პარტიის იარლიყი ან სახელწოდება. გასაგებია, რომ საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ მოერიდება იმას, რომ შეასრულოს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის ჩახშობის თავისი ამოცანა, რა პარტიულ დროშებს ან რა პოპულარულ და კეთილსახიერ სახელწოდებასაც უნდა ეფარებოდეს ასეთი წინააღმდეგობა. მაგრამ წინააღმდეგობის ჩახშობის ამოცანა ამჟამად ძირითადად უკვე დამთავრებულია, და ახლა დღის წესრიგში დგება სახელმწიფოს მართვის ამოცანა.

აი ეს გადასვლა მოსახლეობის მასების დარწმუნების ამოცანიდან, რომელიც პირველ ადგილზე იდგა, და ძალაუფლების მოპოვებისა და წინააღმდეგობის გამწევ ექსპლოატატორთა სამხედრო დათრგუნვის ამოცანიდან საბჭოთა ხელისუფლების მართვის ამოცანაზე, რომელიც პირველ ადგილზე დგება, — ეს გადასვლა შეადგენს ახლანდელი მომენტის მთავარ თავისებურებას. საბჭოთა ხელისუფლების სიძნელე მნიშვნელოვანწილად იმაში მდგომარეობს, რომ ნათლად შეათვისებინოს ამ გადასვლის თავისებურებანი როგორც ხალხის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, ისე საერთოდ მშრომელი მასების მთელ შეგნებულ ელემენტებს. ვინაიდან თავისთავად გასაგებია, რომ კლასების განუსხვავებლად მთელი მოსახლეობის მართვის მშვიდობიან ამოცანებზე გადასვლა, — გასაგებია, რომ ასეთი გადასვლა ადგილადგილ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სამოქალაქო ომის ვითარებაში, უდიდეს სამხედრო საშიშროებათა ვითარებაში, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკას ემუქრება დასავლეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც, ბოლოს, ომით შექმნილი უმაგალითო ნგრევის ვითარებაში, — გასაგებია, რომ ასეთი გადასვლა უდიდეს სიძნელეებს წარმოადგენს.

თავი V

სახელმწიფოს მართვის ამოცანა, რომელიც ახლა პირველ პლანზე დადგა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, წარმოადგენს კიდევ იმ თავისებურებას, რომ ახლა საქმე ეხება — და, შეიძლება ითქვას, პირველად ცივილიზებულ ხალხთა უახლეს ისტორიაში — ისეთ მართვას, როცა უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არა პოლიტიკას, არამედ ეკონომიკას. ჩვეულებრივ სიტყვა „მართვას“ უკავშირებენ სახელდობრ და უწინარეს ყოვლისა უპირატესად პოლიტიკურ საქმიანობას, ან წმინდა პოლიტიკურ საქმიანობასაც კი. საბჭოთა ხელისუფლების თვით საფუძვლები, თვით არსი კი, ისევე როგორც კაპიტალისტური საზოგადოებიდან სოციალისტურ საზოგადოებაზე გადასვლის თვით არსი, იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკურ ამოცანებს დაქვემდებარებული ადგილი უჭირავს ეკონომიური ამოცანების მიმართ. და ახლა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გვაქვს რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოთხ თვეზე მეტი ხნის პრაქტიკული გამოცდილება, ჩვენთვის სავსებით ნათელი უნდა იყოს, რომ სახელმწიფოს მართვის ამოცანა ახლა უწინარეს ყოვლისა და პირველ რიგში არის წმინდა ეკონომიური ამოცანა ქვეყნის განკურნებისა ომით მიყენებული ჭრილობებისაგან. საწარმოო ძალების აღდგენისა, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის მოგვარებისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, — ერთი სიტყვით არის ეკონომიური რეორგანიზაციის ამოცანა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ამოცანა ორ მთავარ რუბრიკად იყოფა: 1) პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვა და კონტროლი ამ აღრიცხვისა და კონტროლის ყველაზე ფართო, საყოველთაოდ ცნობილი და უნივერსალური ფორმებით და 2) შრომის ნაყოფიერების გადიდება. ამ ამოცანების გადაჭრა რომელიც გნებავთ კოლექტიურობას თუ სოციალიზმზე გადამავალ რომელიც გნებავთ სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ იმ პირობით, თუ ამის ძირითადი ეკონომიური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური წინაპირობები საკმაოდ შექმნილია კაპიტალიზმის მიერ. თუ არ იქნა მსხვილი მანქანური წარმოება, თუ არ იქნა რკინიგზების მეტად თუ ნაკლებად განვითარებული ქსელი, საფოსტო-სატელეგრაფო ურთიერთობა, თუ არ იქნა სახალხო განათლების დაწესებულებათა მეტად თუ ნაკლებად განვითარებული ქსელი, — ვერც ერთი. ვერც მეორე ამოცანა სისტემატური სახით და საყოველთაო-სახალხო მოცულობით, უეჭველია, ვერ გადაიჭრება. რუსეთი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, როცა არის ასეთი გადასვლის მთელი რიგი თავდაპირველი წინაპირობები. მეორე მხრივ, ჩვენს ქვეყანაში არ არის მთელი რიგი ასეთი წინაპირობები, მაგრამ მას შეუძლია შედარებით ადვილად გადმოიღოს ისინი მეზობელი, გაცილებით უფრო მოწინავე, ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილებიდან, ქვეყნებისა, რომლებსაც ისტორიამ და საერთაშორისო ურთიერთობამ უკვე დიდი ხანია დაამყარებინა მჭიდრო კავშირი რუსეთთან.

თავი VI

ძირეული ამოცანა ყოველი საზოგადოებისა, რომელიც სოციალისტურ წყობილებაზე გადადის, მდგომარეობს გაბატონებული კლასის — ან, უფრო სწორად, გაბატონებულ კლასად გადაზრდის პროცესში მყოფი კლასის — პროლეტარიატის გამარჯვებაში ბურჟუაზიაზე იმის შესაბამისად, რაც გადმოცემული იყო ზემოთ. და ეს ამოცანა ახლა ჩვენს წინაშე დგება მნიშვნელოვანი ზომით ახლებურად, — სრულებითაც არა ისე, როგორც აყენებდნენ მას ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლის მსოფლიო გამოცდილების მრავალი და ძრავალი ათეული წლის განმავლობაში. ბურჟუაზიაზე გამარჯვებად ჩვენ ახლა, ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა შემდეგ, სამოქალაქო ომში მოპოვებულ წარმატებათა შემდეგ, შეგვიძლია ვგულისხმობდეთ და უნდა ვგულისხმობდეთ უკვე რაღაც გაცილებით უფრო მაღალს, თუმცა ფორმით უფრო მშვიდობიანს: სახელდობრ — ბურჟუაზიაზე გამარჯვება უნდა განხორციელდეს ახლა, მას შემდეგ, რაც ეს გამარჯვება პოლიტიკურად მიღწეულია და ომით განმტკიცებულია, — ახლა ეს გამარჯვება მიღწეულ უნდა იქნას სახალხო მეურნეობის ორგანიზაციის დარგში, წარმოების ორგანიზაციის დარგში, საყოველთაო სახალხო აღრიცხვისა და კონტროლის დარგში. წარმოების აღრიცხვისა და კონტროლის ამოცანებს ბურჟუაზია წყვეტდა მით უფრო მეტი წარმატებით, რაც უფრო მსხვილი ხდებოდა წარმოება, რაც უფრო ხშირი ხდებოდა ქსელი საერთო-სახელმწიფოებრივი ეკონომიური დაწესებულებებისა, რომლებიც მოიცავენ თანამედროვე დიდი სახელმწიფოს ათეულ და ასეულ მილიონობით მოსახლეობას. ეს ამოცანა ჩვენ ახლა უნდა გადავწყვიტოთ ახლებურად, ვეყრდნობით რა პროლეტარიატის გაბატონებულ მდგომარეობას, იმას, რომ მას მხარს უჭერს მშრომელი და ექსპლოატირებული მასების უმრავლესობა, ვიყენებთ რა ორგანიზატორული ნიჭის, ტექნიკური ცოდნის იმ ელემენტებს, რომლებიც დაგროვებულია წინამორბედი საზოგადოების მიერ და რომელთა ცხრა მეათედი, ხოლო შესაძლოა ოთხმოცდაცხრამეტი მეასედიც, ეკუთვნის სოციალისტური რევოლუციისადმი მტრულად დაპირისპირებულ კლასს.

თავი VII

გერმანიის იმპერიალიზმმა, რომელიც ამჟამად წარმოადგენს არა მარტო სამხედრო ძლიერებისა და სამხედრო ტექნიკის ყველაზე დიდ პროგრესს, არამედ მსხვილ სამრეწველო ორგანიზაციებსაც კაპიტალიზმის ჩარჩოებში, თავისი ეკონომიური პროგრესულობა აღნიშნა, სხვათა შორის, იმით, რომ სხვა სახელმწიფოებზე ადრე განახორციელა გადასვლა შრომის ბეგარზე. გასაგებია, რომ საერთოდ კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში და განსაკუთრებით იმპერიალისტური ომის მწარმოებელი მონარქიული სახელმწიფოების პირობებში შრომის ბეგარა სხვა არა არის რა, თუ არა სამხედრო-საკატორღო საპყრობილე მუშებისათვის, მშრომელი და ექსპლოატირებული მასების დაკაბალების ახალი საშუალება, ამ მასების მხრივ ყოველი პროტესტის ჩახშობის ღონისძიებათა ახალი სისტემა. მაგრამ მიუხედავად ამისა კვლავ უეჭველია, რომ მხოლოდ იმ ეკონომიური წინაპირობების მეოხებით, რომლებიც მსხვილმა კაპიტალიზმმა შექმნა, შეიძლებოდა ასეთი რეფორმის დღის წესრიგში დაყენება და შეიძლებოდა მისი განხორციელება. და ახლა ჩვენ, იმ პირობებში, რომლებიც შექმნა წარმოუდგენელმა ომისშემდგომმა ნგრევამ, უეჭველია, გვიხდება ერთ-ერთ პირველ ადგილზე დავაყენოთ ასეთივე რეფორმა. მაგრამ გასაგებია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც საზოგადოების კაპიტალისტური ორგანიზაციიდან სოციალისტურ ორგანიზაციაზე გადადის, შრომის ბეგრის განხორციელება უნდა დაიწყოს სრულებითაც არა იმ მხრიდან, საიდანაც დაიწყო მისი განხორციელება გერმანიის იმპერიალიზმმა. გერმანიის კაპიტალისტებისა და იმპერიალისტებისათვის შრომის ბეგარა ნიშნავდა მუშების დაკაბალებას. რუსეთის მუშებისა და უღარიბესი გლეხებისათვის შრომის ბეგარა უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მდიდარ და მქონებელ კლასებს დაეკისროთ, თავიანთი საზოგადოებრივი სამსახურის მოხდა. შრომის ბეგრის განხორციელება ჩვენ მდიდრებისაგან უნდა დავიწყოთ.

ამის აუცილებლობა, საერთოდ რომ ვთქვათ, გამომდინარეობს არა მარტო იქიდან, რომ საბჭოთა რესპუბლიკა სოციალისტური რესპუბლიკაა. ამის აუცილებლობა გამომდინარეობს აგრეთვე იქიდან, რომ სწორედ მდიდარმა და მქონებელმა კლასებმა თავიანთი როგორც სამხედრო, ისე პასიური წინააღმდეგობით (საბოტაჟით) ყველაზე მეტად გააძნელეს საქმე რუსეთის განკურნებისა იმ ჭრილობებისაგან, რომლებიც მას ომმა მიაყენა, — ქვეყნის ეკონომიური გაჯანსაღებისა და აღმავლობის საქმე. და ამიტომ აღრიცხვა და კონტროლი, რომლებიც ახლა მიჩნეულ უნდა იქნას მთელი სახელმწიფოებრივი მართვის ქვაკუთხედად, უწინარეს ყოვლისა უნდა მოვთხოვოთ მდიდარი და მქონებელი კლასების წარმომადგენლებს. სწორედ ამ კლასების წარმომადგენლებმა ისარგებლეს იმ ხარკით, რომელიც მათ მშრომელებისაგან განსაკუთრებით დიდი ოდენობით აკრიფეს ომის გახმავლობაში, სწორედ მათ ისარგებლეს ამ ხარკით, რათა განზე გასდგომოდნენ ქვეყნის განკურნებასა და მის განახლებაში ძონაწილეობის იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც სავალდებულოა თვითეული მოქალაქისათვის, სწორედ მათ ისარგებლეს მათ მიერ ნაძარცვი ხარკით იმისათვის, რომ ჩამსხდარიყვნენ და ჩასაფრებულიყვნენ მიუვალ ბესტში[3] და ყოველნაირი წინააღმდეგობა გაეწიათ იმისათვის, რომ საზოგადოების მოწყობის სოციალისტურ პრინციპს გაემარჯვნა კაპიტალისტურ პრინციპზე. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და სოციალიზმის წინააღმდეგ ასეთი ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი საშუალება მდიდარი და მქონებელი კლასებისათვის ის იყო, რომ ისინი ფლობდნენ ფულის ნიშნების მნიშვნელოვან მარაგს. მქონებელი კლასების სიმდიდრე კაპიტალისტურ საზოგადოებაში უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ფლობდნენ მიწას და წარმოების სხვა საშუალებებს: ფაბრიკებს, ქარხნებს და ა. შ. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძნელი არ იყო, მუშების და გლეხების უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერის მეოხებით, გაეუქმებინა მემამულეებისა და ბურჟუაზიის უფლება ქვეყნის სიმდიდრის ამ ძირითად სახეობაზე. ძნელი არ იყო მიწის კერძო საკუთრების გაუქმების დეკრეტირება. ძნელი არ იყო ფაბრიკებისა და ქარხნების მეტი ნაწილის ნაციონალიზაციის განხორციელება. ეჭვს გარეშეა, რომ დანარჩენ მსხვილ სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტის საშუალებათა ნაციონალიზაციაც წარმოადგენს ამოცანას, რომელიც ადვილად განხორციელდება სულ ახლო მომავალში[4].

მაგრამ კაპიტალისტურმა საზოგადოებამ შექმნა სიმდიდრის სხვა ფორმა, რომელთან ანგარიშის გასწორება საბჭოთა ხელისუფლებისათვის სრულებითაც არ არის ასე იოლი. სიმდიდრის ეს ფორმაა ფული, ან, უფრო სწორადაც კი, — ფულის ნიშნები. ომის დროს ფულის ნიშნების გამოშვებამ განსაკუთრებით დიდ ოდენობას მიაღწია. რუსეთი ომის ოპერაციების კედლით გათიშული იყო მთელ რიგ იმ ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვისაგან, რომლებიც დღემდე ყველაზე მეტად მონაწილეობდნენ რუსეთში საქონლის შემოტანასა და აქედან საქონლის გატანაში. და ფულის ნიშნების დაგროვება მდიდარი და მქონებელი კლასების ხელში, რომლებიც თითქმის უკლებლივ მონაწილეობდნენ, პირდაპირაც და არაპირდაპირაც, სამხედრო მიწოდებათა და იჯარის მაღალი ფასებით სპეკულაციაში, — ფულის ნიშნების დიდი რაოდენობით დაგროვება სიმდიდრის დაგროვებისა და მშრომელთა მიმართ მქონებელი კლასების ძალაუფლების დაგროვების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. ამჟამად რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა, — ალბათ ისევე, როგორც ყოველი კაპიტალისტური ქვეყნისაც, რომელმაც სამი წლის ომი განიცადა, — რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა ხასიათდება იმით, რომ — პირველ ადგილზეა და ქმნიდებელი კლასების შედარებით პატარა უმცირესობის ხელში თავმოყრილი და მათ მიერ დამალულია გიგანტური მარაგი ფულის ნიშნებისა, რომლებიც ძლიერ გაუფასურებულია ქაღალდის ფულის უდიდესი გამოშვებით, მაგრამ რომლებიც მიუხედავად ამისა დღემდეც წარმოადგენენ მშრომელი მოსახლეობისაგან ხარკის აკრეფის უფლების მოწმობას.

კაპიტალისტური საზოგადოებიდან სოციალისტურ საზოგადოებაზე გადასვლისას ფულის ნიშნების უქონლად იოლად წასვლა ან მოკლე ხანში მათი შეცვლა ახალი ნიშნებით სრულიად შეუძლებელი რამეა. საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ახლა დგას ძნელი ამოცანა, რომელიც მიუხედავად ამისა უნდა გადაიჭრას რადაც უნდა დაგვიჯდეს, — ამოცანა მდიდართა წინააღმდეგობასთან ბრძოლისა, — იმ წინააღმდეგობასთან ბრძოლისა, რომელიც მშრომელთაგან ხარკის აკრეფის უფლების მოწმობათა შენახვისა და დამალვის ფორმას იღებს. ასეთი მოწმობებია ფულის ნიშნები. რა თქმა უნდა, რამდენადაც ეს ფულის ნიშნები წინათ წარმოების საშუალებების, მაგალითად, მიწის, ფაბრიკების, ქარხნებისა და ა. შ. შეძენის, ყიდვის უფლებას იძლეოდნენ, ამდენად ამ ფულის ნიშნების მნიშვნელობა ეცემა და მთლად ხელადაც კი იქცევა. ეს იმიტომ, რომ მიწის ყიდვა რუსეთში უკვე შეუძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც გამოიცა კანონი მიწის სოციალიზაციის შესახებ, ხოლო ფაბრიკებისა და ქარხნების, აგრეთვე მათ მსგავს წარმოებისა და ტრანსპორტის მსხვილ საშუალებათა ყიდვა. თითქმის შეუძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ სწრაფად მიმდინარეობს ყველა ამგვარ მსხვილ საწარმოთა ნაციონალიზაციისა და კონფისკაციის პროცესი. მაშასადამე, ფულის თანხების შეძენა წარმოების საშუალებათა საყიდლად სულ უფრო და უფრო ძნელი და თითქმის შეუძლებელი ხდება ბურჟუაზიისა და მქონებელი კლასების (მათ შორის გლეხური ბურჟუაზიის) წარმომადგენლებისათვის. მაგრამ იცავს რა თავის ძველ პრივილეგიებს და ცდილობს რა დააყოვნოს და რაც შეიძლება მეტად გააძნელოს ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის საქმე, ბურჟუაზია ინახავს და მალავს თავის მოწმობებს საზოგადოებრივი სიმდიდრის წილზე, მშრომელთაგან ხარკის აკრეფის უფლების მოწმობებს, ინახავს და მალავს ფულის ნიშნებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს თავისთვის თუნდაც ზოგიერთი შანსი იმისა, რომ შეინარჩუნოს თავისი მდგომარეობა და დაიბრუნოს ძველი პრივილეგიები სამხედრო და სავაჭრო ხასიათის სიძნელეების თუ კრიზისების შემთხვევაში, რომლებიც ჯერ კიდევ შეიძლება თავს დაატყდეს რუსეთს.

რაც შეეხება მოხმარების საგნებს, შესაძლებლობა მათი შეძენისა ფულის ნიშნების იმ თანხებით, რომლებიც სპეკულაციის გზით დაგროვებულ იქნა ომის დროს, ბურჟუაზიამ და მქონებელმა კლასებმა თითქმის მთლიანად შეინარჩუნეს, იმიტომ რომ მოხმარების ამ საგნების სწორი ნორმირების, სწორი განაწილების ამოცანა ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთი, მოსახლეობის წვრილი გლეხური და წვრილი ხელოსნური თუ შინამრეწველური ფენების უდიდესი რაოდენობის პირობებში, — ეს ამოცანა წარმოადგენს უდიდეს სიძნელეებს, ხოლო ომით შექმნილი ნგრევის პირობებში ეს ამოცანა დღემდე თითქმის გადაუჭრელი რჩება. და, ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლება იძულებულია პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვა და კონტროლი დაიწყოს ორგანიზებული ბრძოლით მდიდარი და მქონებელი კლასების წინააღმდეგ, რომლებიც ყოველ სახელმწიფოებრივ კონტროლს უმალავენ ფულის ნიშნების უდიდეს თანხებს.

შეიძლება ჩაითვალოს, რომ რუსეთში ამჟამად გამოშვებულია 30 მილიარდამდე მანეთი ფულის ნიშნები. ამ თანხიდან ალბათ არანაკლებ 20 მილიარდისა, ხოლო შესაძლოა გაცილებით მეტიც, წარმოადგენს მარაგს, რომელიც სრულებით არ არის საჭირო სავაჭრო ბრუნვისათვის და რომელსაც ბურჟუაზიისა და მქონებელი კლასების წარმომადგენლები ინახავენ, მალავენ, ფარავენ ანგარებითი — თუ ანგარებითი კლასობრივი — მიზნებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ შრომის ბეგრის შემოღება უნდა შეაერთოს უწინარეს ყოვლისა ბურჟუაზიისა და მქონებელი კლასების წარმომადგენელთა რეგისტრაციასთან, უნდა მოსთხოვოს ჰეშმარიტების შესაბამისი განცხადება (დეკლარაცია) მათს განკარგულებაში არსებული ფულის ნიშნების რაოდენობის შესახებ, უნდა მიიღოს მთელი რიგი ზომები იმისათვის, რომ ეს მოთხოვნა ქაღალდზე არ დარჩეს, უნდა მოიფიქროს გარდამავალი ღონისძიებანი იმისათვის, რომ ფულის ნიშნების მთელი მარაგი თავმოყრილ იქნას სახელმწიფო ბანკში ან მის განყოფილებებში. თუ ამგვარი ღონისძიებები არ განხორციელდა, ისე პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვა და კონტროლი არ შეიძლება ბოლომდე იქნას მიყვანილი.

თავი VIII

მაგრამ შრომის ბეგრის შემოღება არ შეიძლება შემოიფარგლოს ფულის ნიშნების იმ თანხების აღრიცხვითა და კონტროლით, რომლებიც თავმოყრილია მქონებელი კლასების ხელში. საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდება შრომის ბეგრის პრინციპები განახორციელოს აგრეთვე ბურჟუაზიისა და მქონებელი კლასების უშუალო საქმიანობის მიმართ საწარმოების მართვის და ამ საწარმოების ყოველნაირი დამხმარე შრომით: საბუხჰალტრო, საკანტორო, საანგარიშწარმოებო, ტექნიკური, ადმინისტრაციული შრომით და ა. შ. მომსახურების დარგში. ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების ამოცანაც საბოტაჟის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლის სფეროდან ახლა გადადის ახალ პირობებში საქმის ორგანიზებული დაყენების სფეროში, ვინაიდან იმ გამარჯვებათა შემდეგ, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ მოიპოვა სამოქალაქო ომში, ოქტომბრით დაწყებული და თებერვლით დამთავრებული, — წინააღმდეგობის პასიური ფორმები, — სახელდობრ: საბოტაჟი ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის მხრივ, — არსებითად გატეხილ იქნა. შემთხვევითი როდია, რომ ყოფილ მესაბოტაჟეთა, ე. ი. კაპიტალისტთა და ბურჟუაზიული ინტელიგენციის ბანაკში ამჟამად ჩვენ ვხედავთ განწყობილებისა და პოლიტიკური ქცევის უაღრესად ფართო, შეიძლება ითქვას, მასობრივ შემობრუნებას. ახლა სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში ვხედავთ სამსახურის შემოთავაზებას ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და კაპიტალისტური მეურნეობის მოღვაწეების უდიდესი რაოდენობის მხრივ, — მათ მიერ საბჭოთა ხელისუფლებისათვის სამსახურის შემოთავაზებას. და საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა ახლა ის არის, რომ შეძლოს გამოიყენოს ეს სამსახური, რომელიც სოციალიზმზე გადასასვლელად უთუოდ აუცილებელია, განსაკუთრებით ისეთ გლეხურ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთი, და რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას იმ პირობით, რომ სავსებით დაცული იქნება საბჭოთა ხელისუფლების მეთაურობა, ხელმძღვანელობა და კონტროლი მისი ახალი

(დასასრული მე-8 გვერდზე)

* სტენოგრამის დასაწყისი მონახული არ არის. — რედ.

ვ. ი. ლენინის ახალი დოკუმენტი

(დასასრული)

თანაშემწეებისა და დამხმარეებისადმი, რომლებიც ძალიან ხშირად მოქმედებდნენ თავიანთი ნების წინააღმდეგ და ამ საბჭოთა ხელისუფლების გაპროტესტების ფარული იმედით.

რომ დაგანახვოთ, თუ რამდენად აუცილებელია საბჭოთა ხელისუფლებისათვის სწორედ სოციალიზმზე გადასასვლელად გამოიყენოს ბურჟუაზიული ინტელიგენციის სამსახური, თავს ნებას მივცემთ ვიზმაროთ გამოთქმა, რომელიც ერთი შეხედვით პარადოქსად გეჩვენება: სოციალიზმი მნიშვნელოვანწილად უნდა ვისწავლოთ ტრესტების ხელმძღვანელებისაგან, სოციალიზმი უნდა ვისწავლოთ კაპიტალიზმის უდიდესი ორგანიზატორებისაგან. ეს რომ პარადოქსი არ არის, ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინც ჩაუფიქრდება იმას, რომ სწორედ მსხვილი ფაბრიკები, სწორედ დიდი მანქანები, ინდუსტრია, რომელმაც უმაგალითო ოდენობამდე განავითარა მშრომელთა ექსპლოატაცია, — სწორედ მსხვილი ფაბრიკები შრომადგენენ იმ კლასის თავმოყრის ცენტრებს, რომელსაც ერთადერთს ძალუძდა მოესპო კაპიტალის ბატონობა და დაეწყო სოციალიზმზე გადასვლა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ სოციალიზმის პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად, როცა დღის წესრიგში დასმულია მისი ორგანიზაციული მხარე, ჩვენ აუცილებლად დიდი რაოდენობით უნდა მოვიზიდოთ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ხელშესაწყობად ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები, განსაკუთრებით იმათი რიცხვიდან, ვინც პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდა უმსხვილესი წარმოების ორგანიზაციისათვის კაპიტალისტურ ჩარჩოებში, და, მაშასადამე, — პირველ რიგში სინდიკატების, კარტელებისა და ტრესტების ორგანიზაციის საქმეში. ამ ამოცანის გადასაჭრელად საბჭოთა ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, დასჭირდება მშრომელთა ფართო მასის ენერგიის დაძაბვა, ინიციატივა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ვინაიდან ძველ მდგომარეობას მრეწველობის ეგრეთწოდებულ ბელადებს, — უფროსთა და ექსპლოატატორთა ძველ მდგომარეობას, — ამ ძველ მდგომარეობას საბჭოთა ხელისუფლება მათ არასოდეს არ მისცემს. მრეწველობის წინანდელმა ბელადებმა, წინანდელმა უფროსებმა და ექსპლოატატორებმა, ახლა უნდა დაიკავონ ტექნიკური ექსპერტების, ხელმძღვანელების, კონსულტანტების, მრჩევლების ადგილი. უნდა გადაიჭრას ძნელი და ახალი, მაგრამ უაღრესად მადლიერი ამოცანა მთელი იმ გამოცდილებისა და ცოდნის შეერთებისა, რაც ექსპლოატატორული კლასების ამ წარმომადგენლებს შეუძენიათ, მშრომელი მასების ფართო ფენების თვითმოქმედებასთან, ენერგიასთან, მუშაობასთან. ვინაიდან მხოლოდ ამ შეერთებას ძალუძს შექმნას ხიდი, რომელსაც ძველი, კაპიტალისტური საზოგადოებიდან მივყავართ, ახალი, სოციალისტური საზოგადოებისაკენ.

სოციალისტურ რევოლუციას ერთდროულად რომ გაემარჯვნა მთელ მსოფლიოში ან მთელ რიგ მოწინავე ქვეყნებში მაინც, მაშინ ამოცანა ძველი კაპიტალიზმის ხელმძღვანელთაგან საუკეთესო სპეციალისტთა, ტექნიკოსთა მოზიდვისა წარმოების ახალი ორგანიზაციის პროცესში უაღრესად გაადვილებული იქნებოდა. ჩამორჩენილ რუსეთს მაშინ აღარ მოუხდებოდა დამოუკიდებლად ეფიქრნა ამ ამოცანის გადაჭრაზე, ვინაიდან ჩვენ დაგვეხმარებოდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოწინავე მუშები და მოგვაშორებდნენ სიძნელეთა მეტ ნაწილს სოციალიზმზე გადასვლის იმ ყველაზე ძნელ ამოცანაში, რომელსაც ორგანიზაციული ამოცანა ეწოდება. ახლა, ისეთ ფაქტიურ მდგომარეობაში, როცა სოციალისტური რევოლუციის შეტევა დასავლეთში დაყოვნდა და დაგვიანდა, რუსეთს კი უხდება დაჩქარებით იღებდეს ზომებს თავისი რეორგანიზაციისათვის, — თუნდაც იმისათვის, რომ მოსახლეობა იხსნას შიმშილისაგან, შემდეგ კი იმისათვის, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა იხსნას შესაძლო სამხედრო შემოსევისაგან, — ახლა ჩვენ გვიხდება მოწინავე ქვეყნებისაგან ვიღებდეთ არა სოციალისტური ორგანიზაციის დახმარებასა და ძუშების მხარდაჭერას, არამედ იქაური ბურჟუაზიისა და კაპიტალისტური ინტელიგენციის დახმარებას.

და ვითარება ისეთი იქმნება, რომ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ეს დახმარება, თუ მოვაწყობთ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ხელშეწყობას საბჭოთა ხელისუფლების ახალი ორგანიზაციული პრობლემების საქმეში. ეს ხელშეწყობა შეიძლება მივიღოთ იმ გზით, რომ შრომის მაღალი ანაზღაურება მივცეთ ცოდნის თვითეული დარგის საუკეთესო სპეციალისტებს, როგორც ჩვენს სახელმწიფოში მყოფთ, ისე საზღვარგარეთიდან მოყვანილთ. რა თქმა უნდა, უკვე განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თვალსაზრისით თუ ვიტყვით, სრულიად არასამართლიანი და არასწორი გვეჩვენება, რომ ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები შრომის განუზომლად უფრო მაღალ ანაზღაურებას იღებდნენ, ვიდრე მუშათა კლასის საუკეთესო ფენების შრომის ანაზღაურებაა. მაგრამ პრაქტიკული სინამდვილის პირობებში...* ჩვენ აუცილებლად უნდა გადავჭრათ გადაუდებელი ამოცანა ბურჟუაზიული სპეციალისტების შრომის ამ გაცილებით უფრო მაღალი ნორმებით ანაზღაურების (არასამართლიანი ანაზღაურების) გზით. თუ დავუშვებთ, მაგალითად, რომ რუსეთს წარმოების ახალ საწყისებზე ორგანიზაციისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ ჩვენს ხალხს ვასწავლოთ უკეთეს პირობებში მუშაობის ხელოვნება, — თუ დავუშვებთ, რომ მოგვიხდება საამისოდ დავიქირავოთ, ვთქვათ, ცოდნის სხვადასხვა დარგის ორი ათასი უდიდესი სპეციალისტი, — სპეციალისტი რუს და კიდევ უფრო მეტად უცხოელ, ვთქვათ, ამერიკელ სპეციალისტთა რიცხვიდან, — თუ მოგვიხდება ვაძლიოთ მათ წელიწადში ორმოცდაათი ან ასი მილიონი მანეთი, სახალხო მეურნეობის ინტერესების თვალსაზრისით, საერთოდ წარმოების მოძველებული ხერხებიდან უახლეს, ყველაზე სრულყოფილ ხერხებზე გადასვლის თვალსაზრისით.— ასეთი ხარჯი სავსებით გამართლებული იქნებოდა. წარმოების საუკეთესო წესებისა და ხერხების სწავლებისათვის ასეთი თანხა უნდა გავიღოთ და ღირს გავიღოთ, და ასეთი თანხა მოგვიხდება გავიღოთ იმიტომ, რომ ასეთი ხელმძღვანელობის მიღების სხვა შესაძლებლობას შექმნიდა მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება სხვა ქვეყნებში.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლების შრომისა და ხელმძღვანელი მითითებების გამოყენება საჭირო კონტროლთან შეხამებით, რომელსაც მშრომელთა დემოკრატიული ორგანიზაციები და საბჭოები განახორციელებენ, მთელ რიგ ახალ პრობლემებს შექმნის. მაგრამ ამ პრობლემების გადაჭრა საევსებით შესაძლებელია. და ჩვენ ვერ მოვერიდებით ვერავითარ სიძნელეს ამ პრობლემების გადასაჭრელად, ვინაიდან სხვა გზა წარმოების უმაღლეს ორგანიზაციაზე გადასასვლელად საქმის ახლანდელ ვითარებაში ჩვენ არ მოგვიპოვება.

შემდეგ უმსხვილესმა კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ორგანიზაციის ისეთი სისტემები, რომლებიც მოსახლეობის მასების ექსპლოატაციის პირობებში მქონებელი კლასების უმცირესობის მიერ მშრომელთა დამონებისა და მათი შრომის დამატებითი რაოდენობის, ძალის, სიხსლისა და ნერვების ამოქაჩვის უსასტიკეს ფორმას წარმოადგენდნენ. მაგრამ რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის უკანასკნელ სიტყვას, რომლებიც სოციალისტურმა საბჭოთა რესპუბლიკამ უნდა გადმოიღოს, რომლებიც მან უნდა გადაამუშაოს ერთი მხრივ წარმოების ჩვენი აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელების, ხოლო შემდეგ —მეორე მხრივ შრომის ნაყოფიერების გადიდების ინტერესებისათვის. მაგალითად, ტეილორის[5] განთქმული სისტემა, რომელიც დიდად გავრცელდა ამერიკაში — განთქმულია სწორედ იმით, რომ იგი უაღრესად აღვირახსნილი კაპიტალისტური ექსპლოატაციის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს. ამიტომ გასაგებია, რომ მუშათა მასები ამ სისტემას ასეთი სიძულვილითა და აღშფოთებით ხვდებოდნენ, მაგრამ ამავე დროს ერთი წუთითაც არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ტეილორის სისტემა შეიცავს მეცნიერების უდიდეს პროგრესს, მეცნიერებისა, რომელიც სისტემატურ ანალიზს უკეთებს წარმოების პროცესს და გზას უხსნის ადამიანის შრომის ნაყოფიერების უდიდეს ამაღლებას. მეცნიერულმა კვლევამ, რაც ამერიკაში დაიწყო ტეილორის სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მოძრაობათა შესწავლამ, როგორც ამერიკელები ამბობენ, მოგვცა უდიდესი მასალა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ასწავლონ მშრომელ მოსახლეობას საერთოდ შრომისა და კერძოდ შრომის ორგანიზაციის განუზომლად უფრო მაღალი ხერხები.

ტეილორის სისტემაში უარყოფითი იყო ის, რომ იგი კაპიტალისტური მონობის ვითარებაში ხორციელდებოდა და იმის საშუალებას წარმოადგენდა, რომ მუშებისაგან ამოექაჩათ შრომის ორმაგი და სამმაგი რაოდენობა წინანდელი ანაზღაურებით, ამასთან სრულებით არ გაეწიათ ანგარიში დაქირავებული მუშების უნარისათვის — ადამიანის ორგანიზმის დაუზიანებლად მისცენ შრომის ეს ორმაგი თუ სამმაგი რაოდენობა სამუშაო საათების წინანდელი რიცხვის პირობებში. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას მოელის ამოცანა, რომელიც მოკლედ შეიძლება ისე ჩამოვაყალიბოთ, რომ ჩვენ უნდა შემოვიღოთ ტეილორის სისტემა და შრომის ნაყოფიერების მეცნიერული ამერიკული ამაღლება მხელ რუსეთში, შევაერთოთ ეს სისტემა სამუშაო დროის შემცირებასთან, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ახალი ხერხების გამოყენებასთან, ისე რომ არავითარი ზიანი არ მიადგეს მშრომელი მოსახლეობის სამუშაო ძალას. პირიქით, ტეილორის სისტემის გამოყენება თვით მშრომელების მხრივ სწორი ხელმძღვანელობით, თუ ისინი საკმაოდ შეგნებულნი იქნებიან, სავსებით უტყუარი საშუალება იქნება სავალდებულო სამუშაო დღის შემდგომი და უდიდესი შემცირებისა მთელი მშრომელი მოსახლეობისათვის. სავსებით უტყუარი საშუალება იქნება იმისათვის, რომ დროის საკმაოდ მოკლე პერიოდში განვახორციელოთ ამოცანა, რომელიც შეიძლება დაახლოებით ასე გამოვთქვათ: ექვსი საათი ფიზიკური მუშაობა თვითეული სრულასაკოვანი მოქალაქისათვის ყოველდღიურად და ოთხი საათი მუშაობა სახელმწიფოს მართვისათვის.

ამგვარ სისტემაზე გადასვლა ძალიან ბევრ ახალ ჩვევასა და ახალ ორგანიზაციულ დაწესებულებებს მოგვთხოვს. ეჭვს გარეშეა, რომ ეს გადასვლა ცოტა სიძნელეს როდი შეგვიქმნის და რომ ასეთი ამოცანის დაყენება გაკვირვებასაც კი გამოიწვევს, ხოლო შესაძლოა წინააღმდეგობასაც თვით მშრომელთა ზოგიერთ წრეებში. მაგრამ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ მუშათა კლასის მოწინავე ელემენტები გიგებენ ასეთი გადასვლის აუცილებლობას და რომ სახალხო მეურნეობის საშინელი მოშლილობის იმ პირობებში, რომლებმაც მხოლოდ ახლა იჩინეს თავი ქალაქებისა და სოფლებისათვის, როცა ფრონტიდან დაბრუნდა მილიონობით ადამიანი, რომლებიც მოწყვეტილი იყვნენ მეურნეობას და პირველად ხედავენ მეურნეობის იმ მოშლილობის მთელ ზომას, რაც ომმა გამოიწვია, ეჭვს გარეშეა, — ნიადაგი მშრომელთა საზოგადოებრივი აზრის ამ მიმართულებით მოსამზადებლად შექმნილია. და რომ გადასვლას, რომელიც ჩვენ დაახლოებით და მაგალითისათვის ზემოთ დავსახეთ, პრაქტიკულ ამოცანად დააყენებენ მთელი შეგნებული ელემენტები მშრომელი კლასებისა, რომლებიც ახლა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დადგნენ.

---

* გამოტოვებულია ფრაზის ნაწილი, რომელიც გაურკვევლად არის ჩაწერილი. — რედ.

თავი IX

აღნიშნული ხასიათის ეკონომიური გადასვლა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებისგანაც მოითხოვს შესაბამის ცვლილებებს ხელმძღვანელთა ფუნქციებში. საევსებით ბუნებრივია, რომ იმ ვითარებაში, როცა პირველ ადგილზე ვაყენებდით ხალხის უმრავლესობის დარწმუნების ან ძალაუფლების ზეპოვებისა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის ჩახშობის ამოცანას, — საევსებით ბუნებრივია, რომ ხელმძღვანელთა შორისაც პირველ ადგილზე ვაყენებდით უპირატესად აგიტატორებს მასების მიმართ, რომლებთანაც საბჭოთა ხელისუფლება უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული, ვიდრე ხელისუფლების რომელიც უნდა იყოს დემოკრატიული ფორმები წარსულში. საევსებით ბუნებრივია, რომ მოსახლეობის უმრავლესობის დასარწმუნებლად ან ექსპლოატატორების წინააღმდეგ მძიმე და ძნელ სამხედრო ბრძოლაში გასაყოლიებლად განსაკუთრებით საჭირო იყო აგიტატორული უნარი. პირიქით, ის ამოცანები, რომლებიც მოკლედ მოხაზული იყო ზემოთ და რომლებიც მდგომარეობს პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვასა და კონტროლში, პირველ ადგილზე აყენებენ უკვე პრაქტიკულ ხელმძღვანელებსა და ორგანიზატორებს. ამის შესაბამისად უნდა მოხდეს ხელმძღვანელთა გარკვეული გადაფასება, მათი გარკვეული გადაადგილება, რამდენადაც მათი მხრივ შეუძლებელია მეეგუთნ ახალ პირობებსა და ახალ ამოცანას. ბუნებრივია, რომ წინა ეპოქის ხელმძღვანელთა შტაბისათვის, რომელიც უპირატესად აგიტატორულ ამოცანებთან იყო შეგუებული, ძალიან ძნელია ასეთი გადასვლა. ბუნებრივია, რომ ამის გამო გარდუვალია მთელი რიგი შეცდომები. და ახლა საჭიროა რადაც უნდა დაგვიჯდეს მივაღწიოთ იმას, რომ როგორც ხელმძღვანელებმა, ისე საბჭოთა ამომრჩევლების მასებმა, ე. ი. საკუთრივ მშრომელმა და ექსპლოატირებულმა მასებმა შეიგნონ აქ აღნიშნული ცვლილების საჭიროება.

მშრომელ და ექსპლოატირებულ მასებს შორის გაცილებით მეტია ორგანიზატორული ნიჭი და უნარი, ვიდრე აგიტატორული ნიჭი და უნარი, იმიტომ რომ ამ კლასების შრომითი ცხოვრების მთელი ვითარება ერთობლივი მუშაობის, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის მოგვარების გაცილებით მეტ უნარს მოითხოვდა მათგან. პირიქით, ცხოვრების უწინდელი პირობები გაცილებით ნაკლები ოდენობით იძლეოდნენ თვით მასებიდან აგიტატორის ან პროპაგანდისტის ნიჭის მქონე მოღვაწეებს. იქნებ ამიტომ ვხედავთ ახლა ასე ხშირად, რომ პროფესიით თუ მოწოდებით აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს უხდებათ იკისრონ ორგანიზატორის ამოცანები, უხდებათ ყოველ ნაბიჯზე დარწმუნება იმაში, რომ ნაკლებად არიან შეგუებულნი ამ ამოცანების გადასაჭრელად, უხდებათ როგორც იმედგაცრუების, ისე მუშათა და გლეხთა მხრივ უკმაყოფილების განცდა. ხშირად შეიძლება შევხვდეთ ჩვენი ქვეყნის იმ კლასების მხრივ, რომლებიც მტრულად ეკიდებიან საზოგადოების სოციალისტურ გარდაქმნას, — ბურჟუაზიული პარტიების ან იმ პარტიების წარმომადგენელთა მხრივ, რომლებიც ჩვენში თავიანთ თავს სოციალისტურს უწოდებენ, საქმით კი ჩვეულებრივად გულმოდგინედ ემსახურებიან ბურჟუაზიას, როგორც მენშევიკები და მემარჯვენე ესერები, — ხშირად შეიძლება შევხვდეთ მათი მხრივ ნიშნის მოგებას საბჭოთა ხელისუფლების ამ შეცდომათა და წარუმატებლობათა გამო. მართლაც, რამდენადაც ისტორიულად გარდუვალი იყო ეს შეცდომები, იმდენადვე ნათელია, რომ ნაკლოვანებანი ამ დარგში მხოლოდ სენია ახალი სოციალისტური საზოგადოების ზრდისა. ხელახლა სწავლა ისე, რომ პრაქტიკოს-აგიტატორი დაყენებულ იქნას პირველ ადგილზე, რომელიც მას შეჰფერის, — ხელახლა სწავლა ასე შეიძლება, და უეჭველია რომ ხელახლა სწავლას ასე შეძლებენ დიდი შრომის გაუწევლად საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები რუსეთის ყველა კუთხეში. მაგრამ ამას დრო სჭირდება, და მხოლოდ დაშვებული შეცდომების პრაქტიკულ გამოცდილებას შეუძლია წარმოშვას ცვლილების საჭიროების ნათელი შეგნება, — შეუძლია წამოსწიოს მთელი რიგი ან თუნდაც მთელი ფენა პირებისა, რომლებიც გამოსადეგი არიან ახალი ამოცანების გადასაწყვეტად. მუშებსა და გლეხებს შორის ორგანიზაციული ნიჭის მქონე ადამიანები ალბათ მეტია, ვიდრე წარმოუდგენია და ჰგონია ბურჟუაზიას, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ნიჭიერ ადამიანებს არავითარი შესაძლებლობა არა აქვთ დაწინაურდნენ, მტკიცედ მოიკიდონ ფეხი, მოიპოვონ მდგომარეობა კაპიტალისტური მეურნეობის ვითარებაში.

და პირიქით, თუ ჩვენ ახლა ნათლად შევიგნებთ, რომ საჭიროა ორგანიზატორული ნიჭის მქონე ახალ ადამიანთა ფართოდ მოზიდვა სახელმწიფოს მართვის საქმეში, თუ ჩვენ, — სწორედ საბჭოთა ხელისუფლების პრინციპების საფუძველზე, — სისტემატურად დავაწინაურებთ ამ დარგში პრაქტიკით გამოცდილ მოღვაწეებს, შევძლებთ მოკლე ხანში მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ განვითარებული პრინციპების საფუძველზე, რომლებსაც მასებს ვაწვდით და შემდეგ მასები ახორციელებენ საბჭოთა დაწესებულებების წევრთა კონტროლით, რომელნიც მასას წარმოადგენენ, წარმოების პრაქტიკოს ორგანიზატორთა ახალი ფენა დაწინაურდება, მოიპოვებს მდგომარეობას,დაიკავებს თავის შესაფერ ხელმძღვანელ ადგილს.

თავი X

მდიდრების მიმართ შრომის ბეგრიდან საბჭოთა ხელისუფლება უნდა გადავიდეს, ან უფრო სწორად, ამავე დროს დღის წესრიგში დაიყენოს მშრომელთა, მუშათა და გლეხთა უმრავლესობისადმი შესაბამისი პრინციპების შეფარდების ამოცანა. აქ შრომის ბეგრის შემოღების ამოცანა მეორე მხარეს წარმოგვიდგენს. ამ ამოცანას სხვანაირად უნდა მივუდგეთ და პირველ პლანზე წამოვწიოთ არა ის, რაც განხორციელებულ უნდა იქნას მდიდარი კლასების მიმართ. ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს ის, რომ აღვრიცხოთ მშრომელი ხალხის ყველა წარმომადგენელი, რათა თვალი გავადევნოთ ფულის ნიშნების მათს მარაგს ან მათს მოხმარებას, იმიტომ რომ ცხოვრების მთელი პირობები მოსახლეობის ამ ჯგუფების უდიდესი უმრავლესობისათვის საჭიროს ხდის იშრომონ და შესაძლებლობას არ აძლევს მათ დააგროვონ რაიმე მარაგი, გარდა სულ მცირედისა. ამიტომ ამ დარგში შრომის ბეგრის დაწესების ამოცანა შრომის დისციპლინისა და თვითდისციპლინის დაწესების ამოცანად იქცევა.

ძველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მშრომელთა მართ დისციპლინას კაპიტალი ახორციელებდა შიმშილის მუდმივი მუქარით. და რადგან შიმშილი — ეს მუქარა უერთდებოდა მშრომელთა უზომოდ მძიმე შრომას და იმის შეგნებას, რომ ისინი [illegible] თავისათვის, არამედ სხვისი სიკეთისათვის, შრომის ვითარება იქცეოდა მშრომელთა [illegible] მუდმივ ბრძოლად წარმოების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. ამ ნიადაგზე გარდუვალი იყო ისეთი ფსიქოლოგიის შექმნა, რომ მშრომელთა საზოგადოებრივი აზრი არათუ არ სდევნიდა ცუდ მუშაობას ან მუშაობისათვის თავის არიდებას, არამედ, პირიქით, ეს გარდუვალ და კანონიერ პროტესტად ან ექსპლოატატორის უზომო მოთხოვნებისათვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალებად მიაჩნდა. თუ ახლა ბურჟუაზიული პრესა და მისი დამქაშები ასე ბევრს გაჰყვირიან მუშებს შორის ანარქიის შესახებ, მათი თავაშვებულობის ან მათი მხრივ უზომო მოთხოვნების შესახებ, — ამ კრიტიკის ღვარძლიანი ხასიათი მეტისმეტად ნათელია, რომ ღირდეს მასზე დიდხანს შეჩერება. გასაგებია, რომ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა ისე უმაგალითოდ დაიმშა და დაიტანჯა, როგორც რუსეთის მოსახლეობა უკანასკნელ სამ წელიწადში, — გასაგებია, რომ საევსებით გარდუვალი იყო განწყობილების სრული დაქვეითების და ყოველგვარი ორგანიზებულობის სრული დაქვეითების მთელი რიგი შემთხვევები. ამ მხრივ სწრაფი გადასვლის მოთხოვნა ან იმის იმედი, რომ ამ მხრივ ცვლილების მიღწევა რამდენიმე დეკრეტით შეიძლება, იმდენადვე უაზრო იქნებოდა, რამდენადაც ის, რომ მოწოდებებით ცდილობდე სულის სიმხნევე და შრომისუნარიანობა შემატო ადამიანს, რომელიც ცემით სიკვდილის პირას არის მიყვანილი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელსაც თვითონ მშრომელები ქმნიან და რომელიც ანგარიშს უწევს მშრომელ მასებს შორის გაჯანსაღების ზრდას, შეეძლება ძირეული ცვლილებები განახორციელოს ამ მხრივ.

საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის და მის მომხრეთა შორის — მაგალითად, პროფესიული კავშირების მოწინავე ხელმძღვანელთა შორის — უკვე სავსებით მომწიფდა საჭიროება სისტემატურ ღონისძიებათა შემუშავებისა მშრომელთა თვითდისციპლინის ასამაღლებლად. ეჭვი არ არის, რომ საერთოდ კაპიტალისტური საზოგადოების ვითარებაში, და მით უმეტეს იმ გაქანებული და თავაწყვეტილი სპეკულაციის ვითარებაში, რომელიც ომით იყო შექმნილი, მუშათა კლასში შეაღწია ისეთმა დემორალიზაციამ, რომელთანაც სერიოზული ბრძოლა არ აგვცდება. მით უმეტეს, რომ ომის მეოხებით მუშათა კლასის მოწინავე რაზმების შემადგენლობაც შეიცვალა სრულიადაც არა უკეთესობისაკენ. ამიტომ მშრომელთა შორის დისციპლინის შექმნა, შრომის ზომისადმი, შრომის ინტენსივობისადმი კონტროლის ორგანიზაცია, შრომის ზომის დასადგენად, ამ ზომის ყოველი ბოროტი დარღვევისათვის პასუხისგებაში მისაცემად, ამ ზომის გადიდების მიზნით უმრავლესობაზე სისტემატური ზეგავლენის მოსახდენად სპეციალური სამრეწველო სასამართლოების შემოღება, — ყველაფერი ეს ახლა დღის წესრიგში დგება როგორც საბჭოთა ხელისუფლების უაღრესად საჭირბოროტო ამოცანა.

ოღონდ ამასთან შეძლებისამებრ მხედველობაში უნდა გვქონდეს რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი აღზრდის ერთ-ერთი მთავარი იარაღი, სახელდობრ — პრესა, სრულებით არ ასრულებდა თავის ამოცანას იმ დარგში, რომელსაც განვიხილავთ. და დღემდე ჩვენი საბჭოთა პრესა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანწილად იმყოფება ბურჟუაზიული საზოგადოების ძველი ჩვეულებებისა და ძველი ტრადიციების შთაბეჭდილების ქვეშ. ეს თავს იჩენს სხვათა შორის იმით, რომ ჩვენი პრესაც, ისევე როგორც ძველი ბურჟუაზიული პრესა, კვლავ უზომოდ დიდ ადგილსა და ყურადღებას უთმობს პოლიტიკის იმ წვრილმანებს, პოლიტიკური ხელმძღვანელობის იმ პირად საკითხებს, რომლებთაც ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ცდილობდნენ ხალხის მასების ყურადღება ჩამოეშორებინათ მათი ცხოვრების ნამდვილად სერიოზული, ღრმა და ძირეული საკითხებისათვის.

---

[1] ვ. ი. ლენინი მოსკოვის ყრილობას უწოდებს ხაბჭოების სრულიად რუსეთის IV საგანგებო ყრილობას, რომელიც 1918 წლის 14-16 მარტს მოსკოვში გაიმართა.

[2] **ბოგაევსკი, ბ. ბ.** (1881-1918) — დონის ლაშქრის ატამანის (გენერალ კალედინის) ამხანაგი, კონტრრევოლუციური „დონის მთავრობის“ წევრი. როცა 1918 წლის 7 თებერვალს კაზაკთა წარმომადგენლების მცირე კრების სხდომას აუწყა მიზეზები, რომლებმაც აიძულა ატამანი კალედინი თავი მოიკლა, ხოლო ამ მთავრობის წევრები აიძულა მოეხსნათ თავიანთი რწმენებანი, ბოგაევსკიმ განაცხადა: „ჩვენ არავითარი რეალური ძალა არ გგქონდა. არავინ იყო ისეთი, რომ დავყრდნობოდით“.

[3] ბესტში ჩაჯდომა ნიშნავს თავის შეფარებას ისეთ ადგილში, რომელიც თავშეფარებულს დროებითს ხელშეუხებლობას აძლევს.

[4] დეკრეტი მთელი მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის შესახებ სახალხო კომისართა საბჭომ 1918 წლის 28 ივნისს მიიღო. ამავე დეკრეტით ცხადდებოდა ყველა კერძო რკინიგზის, აგრეთვე კომუნალური საწარმოების (წყალმომარაგება, გზის ქარხნები, ტელეკის, ტრანსპორტი და ა. შ.) ნაციონალიზაცია, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში გადაეცა.

[5] **ტეილორი (Taylor) ფრედერიკ უინსლოუ** (1856-1915) — ამერიკელი ინჟინერი, ინჟინერ-მექანიკოსთა ამერიკის საზოგადოების პრეზიდენტი 1905-1906 წლებში, ფუძემდებელი შრომის ორგანიზაციის სისტემისა, რომელიც მიმართული იყო სამუშაო დღის მაქსიმალური შემჭიდროების და წარმოების საშუალებებისა და შრომის იარაღების რაციონალურად გამოყენებისაკენ. კაპიტალიზმის პირობებში ამ სისტემას მშრომელთა ექსპლოატაციისათვის იყენებენ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო „განდის სახელობის მშვიდობის ფონდის“ დელეგაცია

აშხაბადი, 1 ოქტომბერი. (საკდისი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო „განდის სახელობის მშვიდობის ფონდის“ დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ინდოეთის პარლამენტის დეპუტატი უ. ნ. დებარი და ინდოეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე გ. რამაჩანდრანი.

ეს დელეგაცია საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა „განდის სახელობის მშვიდობის ფონდის“ ამა წლის ივნისში დელიში გამართული კონფერენციის გადწყვეტილების შესაბამისად და საბჭოთა მთავრობის მეთაურს გადასცა ამ კონფერენციის მიმართვა, რომელიც შეიცავს მოწოდებას ატომური სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურებისადმი — ხელი აიღონ ატომურ იარაღზე, მოსპონ მისი მარაგი, შეწყვიტონ ამ იარაღის წარმოება და გამოცდა. გადასცა რა ეს მიმართვა, უ. ნ. დებარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთში კარგად არის ცნობილი საბჭოთა კავშირის ერთგულება მშვიდობის საქმისადმი, და რომ ინდოეთში დიდად აფასებენ საბჭოთა ხალხისა და სსრ კავშირის მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, განიარაღების პრობლემის უსწრაფესი გადაჭრა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა უ. ნ. დებართან და გ. რამაჩანდრანთან საუბარში დაწვრილებით განმარტა საბჭოთა კავშირის პოზიცია მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებანი ამ საკითხზე ითვალისწინებენ ატომური იარაღის აკრძალვასა და სრულ ლიკვიდაციას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა შემდეგ ჩამოაყალიბა საბჭოთა მთავრობის პოზიცია ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამჟამად არსებობს ყველა საჭირო პირობა ამ საკითხის დაუყოვნებლივ გადასაჭრელად. საიმედო კონტროლი სახელმწიფოთა მიერ ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტისათვის ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისადმი შეიძლება განხორციელდეს თანამედროვე მეცნიერების პრაქტიკით დადასტურებული მიღწევების გათვალისწინებით, ატომურ აფეთქებათა აღმოჩენის ეროვნულ საშუალებათა დახმარებით. ნ. ს. ხრუშჩოვმა განმარტა, რომ თუ დასავლეთის სახელმწიფოები მზად არ არიან შეთანხმდნენ ახლა ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის აკრძალვის შესახებ, მაშინ საბჭოთა კავშირი თანახმაა ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ, რათა განგრძობილ იქნეს მოლაპარაკება აგრეთვე მიწისქვეშ ატომური გამოცდების შეწყვეტის შესახებ და ამ მოლაპარაკების დროს, მანამ შეთანხმებას მიაღწევენ, ყველა ატომური სახელმწიფო თავს იკავებდეს ასეთი გამოცდების განხორციელებისაგან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის საფუძვლად დაუდოს ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტის საკითხის გადაჭრას ინდოეთისა და სხვა ნეიტრალურ სახელმწიფოთა წინადადებანი, რომლებიც მან შეიტანეს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში. ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტის საკითხის გადაჭრა ფერხდება მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა პოზიციის გამო, რომლებიც საერთაშორისო კონტროლის დაწესების საბაბით ცდილობენ მიაღწიონ თავიანთ დაზვერვათა საქმიანობის ფაქტიურ ლეგალიზაციას.

უპასუხა რა დელეგაციის შეკითხვაზე, რომ არ დათანხმდებოდა საბჭოთა კავშირი—ცალმხრივი წესით განეცხადებინა, წყვეტ ატომური იარაღის გამოცდასო, თუ მიღწეული არ იქნება შეთანხმება ამ საკითხზე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მოაგონა, რომ ჯერ კიდევ 1958 წელს საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით შეწყვიტა ყველა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა და მოუწოდა დასავლეთის სახელმწიფოებს მიებაძათ ამ მაგალითისათვის, მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმ

გულითადი მილოცვები

ჩინელ ხალხს

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ამხანაგებს მაო ძე-დუნს, ლიუ შაო-ცის, ჯუ დესა და ჯოუ ენ-ლაის გულითადად მიულოცეს ეროვნული დღესასწაულის — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მე-13 წლისთავის გამო.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ მოკლე ისტორიულ ვადებში ჩინეთის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ამხანაგი მაო ძე-დუნი შეთაურობს, ჩინეთის მშრომელებმა განახორციელეს უდიდესი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, ძირეულად შეესცვალეს ჩინეთის სახე.

ხაბჭოთა ადამიანებს, ნათქვამია დეპეშაში, რომლებიც ყოველთვის იყვნენ ჩინელ ხალხთან ერთად იმ ძნელ წლებში, როცა იგი რევოლუციურ ბრძოლას აწარმოებდა თავისი განთავისუფლებისათვის, სულითა და გულით უხარიათ მოძმე ჩინეთის წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში. ხაბჭოთა კავშირის ხალხები თვალისჩინივით უფრთხილდებიან ხაბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობას, სოციალისტური ბანაკის ერთობასა და შეკავშირებას, რომლებიც ემყარებიან მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მკვიდრ იდეურ საძირკველს და ახალ გამარჯვებათა საწინდარს წარმოადგენენ მშრომელთა ბრძოლაში იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი ახალ წარმატებებს უსურვებენ ჩინელ ხალხს, ჩინეთის კომუნისტურ პარტიასა და სახალხო მთავრობას სოციალიზმის მშენებლობის დიად საქმეში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მისალმება გაუგზავნა სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილესა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩენ ი.ს. (საკდესი).

სუვერენულ ალჟირს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადად მიულოცა გმირ ალჟირელ ხალხს დამოუკიდებელი ალჟირის დემოკრატიული სახალხო რესპუბლიკის პირველი მთავრობის შექმნის გამო.

დეპეშაში რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ამმედ ბენ ბელასადმი ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ საყოველთაო არჩევნების მოწყობა, ეროვნული დამფუძნებელი კრების შექმნა და სუვერენული ალჟირის მთავრობის შედგენა — ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმ ისტორიული გამარჯვების შედეგად, რომელიც ალჟირელმა ხალხმა მოიპოვა კოლონიზატორებზე მრავალი წლის შეიარაღებული ბრძოლით.

დეპეშაში ნათქვამია, რომ საბჭოთა ადამიანები გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ალჟირელი ხალხი, რომელიც შეკავშირებასა და სიფხიზლეს იჩენს, წარმატებით გადალახავს ყოველ სიძნელესა და დაბრკოლებას თავისი სახელმწიფოს სუვერენიტეტის განმტკიცებისა და მის წინაშე დასახულ დიდმნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიურ ამოცანათა გადაჭრის გზაზე. ნ. ს. ხრუშჩოვი გამოთქვამს აგრეთვე რწმენას, რომ ალჟირის რესპუბლიკა ღირსეულ წვლილს შეიტანს საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების და სამარცხვინო კოლონიური სისტემის საბოლოო ლიკვიდაციის საქმეში.

სსრ კავშირის მთავრობა, ნათქვამია დეპეშაში, რომელიც ერთგულად იცავს თავისი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის მაღალ პრინციპებს, კვლავ ადასტურებს თავის გულწრფელ მისწრაფებას მომავალშიც განავითაროს ალჟირის დემოკრატიული სახალხო რესპუბლიკასთან უანგარო მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის ურთიერთობა სრული თანასწორობის, სუვერენიტეტის პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე. (საკდესი).

ჩვენი სტუმრები

ბაკოში დამთავრდა მესამე სრულიად საკავშირო თათბირი ენდოკრინური მადნების საბადოთა ფორმირებისა და განლაგების კანონზომიერებათა საკითხებზე. მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთის, სომხეთის, ესტონეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ცნობილ სპეციალისტ-გეოლოგებთან ერთად თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს წარმომადგენლებმაც. მათმა შვიდივე მოხსენებამ, რომლებიც ძირითადად საქართველოს ცალკეული რაიონების ენდოკრინოლოგიას ეხებოდა, შეკრებილთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

გეოლოგთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილენი საქართველოში

თათბირზე მოხსენება — ამიერკავკასიის მესამეული ვულკანიზმი და მასთან დაკავშირებული მეტალოგენია გაკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ს. ძოწენიძემ. მეცნიერმა განხორციელებულ გამოკვლევათა საფუძველზე შეადგინა ამიერკავკასიის ვულკანიზმის გამოვლენებისა და მასთან დაკავშირებული მადნების საბადოთა ახალი სქემა. ეს სქემა საშუალებას იძლევა უფრო რაციონალურად მოეწყოს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები, გამოვლინდეს ახალი საბადოები.

სამხრეთ საქართველოს მაგმატიზმისა და მეტალოგენიის საკითხებს მიეძღვნა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ვ. რ. ნადირაძის მოხსენება. მასში მოცემულია ღრმა ჭრილის შესწავლის რეკომენდაციები იმ ფარულ საბადოთა გამოვლენების მიზნით, რომლებიც წალკა-ახალქალაქის ზეგანის ლავის საფარის ქვეშ იმყოფება.

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ გ. ა. თვალჩრელიძის მოხსენებაში წარმოდგენილია ახალი დარაიონება ხმელთაშუაზღვის მეტალოგენიური სარტყელისა, რომელიც თითქმის 16 ათას კილომეტრზეა გადაჭიმული გიბრალტარიდან წყნარ ოკეანემდე ცალკეული მეტალოგენიური პროვინციების გამოყოფით.

თათბირის მუშაობის დამთავრების შემდეგ მის მონაწილეთა ერთი ჯგუფი მოლიბდენის საბადოს გასაცნობად გაემგზავრა სომხეთში, მეორე ჯგუფი — საქართველოში. მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია მადნეულის მადნის ველმა, ბარიტის მრავალფეროვანმა და ხალენძის ალამადნის საბადომ ბოლნისის რაიონში. სტუმრებმა დაათვალიერეს მაღარო, გამამდიდრებელი ფაბრიკა, სამთო გამონამუშევრები.

თათბირის მონაწილენი სტუმრად იყვნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის მუშაკებთან, გაეცნენ ახალ ლაბორატორიებს, ინსტიტუტის ბიბლიოთეკის უნიკალურ კოლექციებს. სტუმრები დიდი ინტერესით გაეცნენ ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილ მინერალების დასაყოფ ელექტრომაგნიტურ სეპარატორს. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ე. ა. კუზნეცოვმა ქართველ კოლეგებს მოუთხრო ახალ, ახლახან მის მიერ გამოგონებულ მთის ქანების აბსოლუტური ასაკის განსაზღვრის გამარტივებულ მეთოდზე. (საქდესი).

ორი ჩემპიონი საქართველოდან

დ. ბერუაშვილი. ა. კიანაძე.

ქიშინიოვში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ჭიდაობა სამბოში. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები, რომლებსაც ჭიდაობის ამ სახეობაში ბრძოლის კარგი ტრადიცია აქვთ.

მეტად დაძაბული იყო ფინალური შეხვედრები, რომლებმაც გამოავლინა სსრ კავშირის ახალი ჩემპიონები წონითი კატეგორიის მიხედვით. ჩვენი რესპუბლიკიდან ოქროს მედლების მფლობელები გახდნენ ქვემძიმე და მძიმე წონის მოჭიდავეები დ. ბერუაშვილი და ა. კიკნაძე.

საქართველოს ერომბა მოჭიდავემ ა. კაციაშვილმა (უმჩატესი წონა) ვერცხლის მედალი დაიმსახურა; ოთხმა მოჭიდავემ — ბალხალაშვილმა, (მსუბუქი წონა), მარიდაშვილმა (ქვემსუბუქი წონა), თ. მაღალაძემ (მსუბუქი წონა) და ვარდოშვილმა (მძიმე წონა) მესამე საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

მატჩი მსოფლიოს პირველობაზე

ოთხი ქულის სხვაობით

მოსკოვი. (ტელეფონით სპეც. კორ.). ე. ბიკოვა-ნ. გაფრინდაშვილის მატჩის მე-5 გადადებულ პარტიაში მეტოქენი ბრძოლის განუახლებლად უაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, ანგარიში გახდა 5:1 ნ. გაფრინდაშვილის სასარგებლოდ.

მატჩის მორიგი მე-7 პარტია გაიმართება დღეს სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. თეთრებით ითამაშებს ე. ბიკოვა.

ჩემპიონობა თასი მოიპოვა

ბასსულ კვირადღეს თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ხელბურთელთა ტურნირი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პრიზზე — თასზე.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს სსრ კავშირის ჩემპიონობა თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა კოლექტივმა მძაფრ ბრძოლაში დაამარცხა ბაკოს „დინამოს“ ძლიერი გუნდი ანგარიშით 22:18.

ამრიგად, „ბურევესტნიკის“ გუნდმა თბილისის თასი მოიპოვა.

საბჭოთა გუნდი — ევროპის ჩემპიონი

ვიულუზში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის. ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები კოლექტივები. ბრძოლა აღინიშნა საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 63:46.

ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ევროპის ჩემპიონი გახდა. საბჭოთა კალათბურთელებიდან ყველაზე შედეგიანი იყო სკაღრა სმილტინია, რომელმაც თავის გუნდს განვლილ მატჩებში 76 ქულა შესძინა.

ბულგარეთი

ბულგარეთი ალჟირს

ბულგარეთში გრძელდება XV საჭადრაკო ოლიმპიადა. გუშინ დილით მოეწყო მეოთხე ტურის გადადებული პარტიების დამთავრება.

საბჭოთა კავშირის გუნდმა არგენტინელ მოჭადრაკეებთან შეხვედრა თავის სასარგებლოდ ანგარიშით 2,5:1,5 დამთავრა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკეთა შეხვედრაში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა მოუგო რუმინელ მოჭადრაკეებს 3,5:0,5. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრიის გუნდების შეხვედრაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი 2:2.

ოთხი ტურის შემდეგ წინა არიან სსრ კავშირის, იუგოსლავიისა და გფრ-ს გუნდები. გუშინ გვიან ღამით შედგა მეხუთე ტური.

„ერეგის ტურნირზე“

ბულგარეთში გრძელდება XV საჭადრაკო ოლიმპიადა. გუშინ დილით მოეწყო მეოთხე ტურის გადადებული პარტიების დამთავრება.

საბჭოთა კავშირის გუნდმა არგენტინელ მოჭადრაკეებთან შეხვედრა თავის სასარგებლოდ ანგარიშით 2,5:1,5 დამთავრა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკეთა შეხვედრაში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდმა მოუგო რუმინელ მოჭადრაკეებს 3,5:0,5. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრიის გუნდების შეხვედრაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი 2:2.

ოთხი ტურის შემდეგ წინა არიან სსრ კავშირის, იუგოსლავიისა და გფრ-ს გუნდები. გუშინ გვიან ღამით შედგა მეხუთე ტური.

იაპონელი ძალოსნის რეკორდი

ვარშავა, 30 სექტემბერი. (საკდესი). ახალი მსოფლიო რეკორდი ატაცში — 118,5 კილოგრამი — დამყარა ქვემსუბუქი წონის იაპონელმა ძალოსანმა, მსოფლიო ჩემპიონმა იოსინობუ მიიაკემ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ვარშავაში. მისი შედეგი 3,5 კილოგრამით აღემატება ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს, რომელიც მასვე ეკუთვნის.

კიდევ ორი ოქროს ქულა



„დინამო“ (თბილისი) — „მოლდოვა“ (ქიშინოვი) — 2:0 (1:0).
30 სექტემბერი. თბილისის „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

„დინამო“ — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, ხელაძე, იამანიძე (პეტრიაშვილი), მელაშვილი, გ. სიჭინავა, კალოევი, ბარქაია, დათუნაშვილი; „მოლდოვა“ — შაპოვალენკო, აფონინი, ლარინი, ზელენიაევი, კოლასიუკი, კოვაჩი, ტატუშინი, მირონოვი, გორშკოვი (კობილიანსკი), ცინკლერი, პინზერი.

ბაკოში დამთავრდა ენდოკრინოლოგიის ეროვნული ასოციაციის ბელორუსიის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ყაზახეთის, ბაკოს, ბაქოს, ერევნის, ალმა-ათის, ტაშკენტის, ფრუნზეს, ბიშკეკის, ბაკურიანის, ბაკურიანის, ბაკურიან